სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080138976301923

№ 2718

03 / ოქტომბერი / 2023 წ.

შპს „ნიკანის“ გაფრთხილების შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: სსიპ „შემოსავლების სამსახური“;

ტენდერის ნომერი: NAT220027597;

შესყიდვის ობიექტი: 35100000 – საგანგებო სიტუაციების დროს გამოსაყენებელი მოწყობილობები და უსაფრთხოების საშუალებები;

მიმწოდებელი: შპს „ნიკანი“ (ს/ნ: 405174412);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2023 წლის 4 აგვისტოს წარმოდგენილ იქნა სსიპ „შემოსავლების სამსახურის“ 2023 წლის 3 აგვისტოს № 21-02/63002 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 6405), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „ნიკანის“ (ს/ნ: 405174412) მიერ NAT220027597 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2023 წლის 21 თებერვლის № 1/210223/1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ მიმწოდებელს, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის siftge@gmail.com მეშვეობით, 2023 წლის 8 აგვისტოს №2608 წერილით, აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა.

1.3. მიმწოდებელმა 2023 წლის 14 აგვისტოს სააგენტოში წარმოადგინა 2023 წლის 14 აგვისტოს განმარტება (რეგისტრაციის № 6625) მის მიერ NAT220027597 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2023 წლის 21 თებერვლის № 1/210223/1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 21 თებერვლის № 1/210223/1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

3. მიმწოდებლის პოზიცია

მიმწოდებელი არ დაეთანხმა მისი შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნას და აღნიშნა, რომ ტვირთის ტრანსპორტირება ხდებოდა ჩინეთ-ყაზახეთის სასაზღვრო გამშვები

პუნქტის გავლით, ავტომობილების მეშვეობით. საზღვარზე ავტომანქანების დიდი ნაკადის გამო შეუძლებელი გახდა ტვირთის დროული გატარება, რამაც ხელი შეუშალა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში შემსყიდველი ორგანიზაციისათვის საქონლის მიწოდებას. მიმწოდებელმა შემყიდველ ორგანიზაციას 2023 წლის 28 ივლისსა და 1 აგვისტოს, ელექტრონული ფოსტის მეშვეობით აცნობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემაფერხებელი გარემოებების თაობაზე და მიმართა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის 2023 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელების შესახებ, თუმცა, უშედეგოდ – შემსყიდველმა ორგანიზაციამ რეაგირება მის წერილებზე არ მოახდინა. სატელეფონო კომუნიკაციისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებელს მოსთხოვა ელექტრონული ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი წერილების კანცელარიაში წარდგენა. მიმწოდებელმა შეარულა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა. ამასთან, 2023 წლის 2 აგვისტოს მიმწოდებელმა კვლავ მიმართა შემსყიდველ ორგანიზაციას და აცნობა, რომ ჩინეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დასაწყობებული იყო მისაწოდებელი საქონელი, რომელიც, შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, დროულად იქნებოდა საქართველოში შემოტანილი. შემსყიდველმა ორგანიზაციამ კვლავ არ მოახდინა რეაგირება, არ გამოიკვლია მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების მიზეზები და 2023 წლის 3 აგვისტოს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის მოთხოვნით მიმართა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს. 2023 წლის 7 აგვისტოს № 2233 განკარგულებით დააკმაყოფილა შემსყიდველი ორგანიზაციის მოთხოვნა და გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე გასცა თანხმობა.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2023 წლის 21 თებერვალს, NAT220027597 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, სსიპ „შემოსავლების სამსახურსა“ და შპს „ნიკანს“ (ს/ნ: 405174412) შორის დაიდო № 1/210223/1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მიმწოდებელს ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის ვადაში უნდა მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 200 000 ერთეული საქონელი, ხოლო დარჩენილი ნაწილი –ხელშეკრულების გაფორმებიდან 130 კალენდარული დღის ვადაში. ხელშეკრულების ღირებულებად განსაზღვრა 588 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2023 წლის 31 ივლისი.

4.2. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2023 წლის 28 ივლისის №1 და 2023 წლის 1 აგვისტოს №2 წერილებით აცნობა, რომ ჩინეთ-ყაზახეთის საზღვარზე, რომლის გავლითაც ხდებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ტრანსპორტირება, ავტომანქანების დიდი ნაკადის გამო სასაზღვრო გამშვები პუნქტი მუშაობდა შეფერხებით. ამავე წერილებით, მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიმართა სახელშეკრულებო ვადის 2023 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელების თხოვნით.

4.3. მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას 2023 წლის 2 აგვისტოს №3 წერილით აცნობა, რომ ჩინეთის მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე დასაწყობებული იყო მისაწოდებელი საქონელი, რომელიც შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, დროულად იქნებოდა საქართველოში შემოტანილი.

4.4. შემსყიდველი ორგანიზაციის 2023 წლის 3 აგვისტოს №21-02/62804 წერილის მიხედვით, ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის მიუხედავად, მიმწოდებელმა ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული 1 200 000 ერთეული საქონლის მიწოდება. ამავე წერილით, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, მიმწოდებელს დაეკისრა პირგასამტეხლო.

4.5. მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა შემსყიდველ ორგანიზაციას მიაწოდა 84 000 ლარის ღირებულების საქონელი, რაც ხელშეკრულების ღირებულების 14%-ს შეადგენს.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „ნიკანს“ უნდა მიეცეს გაფრთხილება.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, ირკვევა, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2023 წლის 21 თებერვლის № 1/210223/1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის პოზიციაზე და განმარტავს, რომ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებით მიმწოდებელმა იკისრა საქონლის მიწოდებისა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად, კეთილსინდისიერად და დათქმულ დროს შესრულების ვალდებულება. ამასთან, მიმწოდებელი, როგორც სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მხარე, პასუხს აგებს მომწოდებლის მიერ ტვირთის მიუწოდებლობაზე/მიწოდების დაგვიანებაზე. აგრეთვე, სააგენტო აღნიშნავს, რომ ჩინეთ-ყაზახეთის სასაზღვრო გამშვებ პუნქტთან ავტომანქანების დიდი ნაკადისა და შეფერხების არსებობასთან დაკავშირებით საქმის მასალებში არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მიზეზშედეგობრივ კავშირის არსებობას მიმწოდებლის მიერ დასახელებულ გარემოებასა და ვალდებულებების არაჯეროვან შესრულებას შორის. ამდენად, აღნიშნული მსჯელობის გათვალისწინებით, სახეზე არ არის მიმწოდებლის პასუხისმგებლობის გამომრიცხავი გარემოებები და არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირების ან გაფრთხილების საფუძველი.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შეთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი წერილობითი შეტყობინება სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს, მაგრამ პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი. ამ პუნქტის მიზნებისთვის, თანაზომიერების პრინციპი დაირღვევა, თუ: ა) მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების, სულ მცირე, 50%; ბ) მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება. ამასთან, ასეთ შემთხვევაში, სისტემაში ხელშეკრულებას მინიჭებული უნდა ჰქონდეს სტატუსი „შესრულებული ხელშეკრულება“. ამავე მუხლის 5^1 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. გაფრთხილებულ მიმწოდებელთა სიას სააგენტო განათავსებს ვებგვერდზე.

7.6. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, მართალია, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შესრულდა არაჯეროვნად, თუმცა სააგენტო ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში იძებნება ინფორმაცია მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად შესრულებული არაერთი ხელშეკრულების შესახებ, კერძოდ, მიმწოდებელს ჯეროვნად აქვს შესრულებული წერილობითი შეტყობინების სააგენტოში წარმოდგენის დღისთვის უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ არანაკლებ 20 ხელშეკრულება და, შესაბამისად, კმაყოფილდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილი მოთხოვნა. ამდენად, სააგენტო მიიჩნევს, რომ, ამ ეტაპზე, შპს „ნიკანის“ შავ სიაში დარეგისტრირებით დაირღვევა თანაზომიერების პრინციპი და მიზანშეწონილია მის მიმართ გაფრთხილების გამოყენება.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „ნიკანს“ (ს/ნ: 405174412) 2023 წლის 4 ოქტომბერს მიეცეს გაფრთხილება.

2. დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს სააგენტოს ვებგვერდზე შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ზაზა ნანობაშვილი